

სვანი მიგრანტების თვითდამკვიდრების პრაქტიკები დმანისში

სოფიკო როსტიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო როსტიაშვილი

28.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება მიგრაციული ჯგუფის თვითდამკვიდრების პრაქტიკებს სივრცეში, სვანი მიგრანტების მაგალითზე ქალაქ დმანისში. ერთის მხრივ, სივრცეში განხორციელებულ პრაქტიკებს. ხოლო, მეორე მხრივ სივრცის მოქმედებას და როლს მათ მიერ განხორციელებულ პრაქტიკებში.

კვლევის მიზანია შეისწავლოს მიგრანტების თავის დამკვიდრების ფენომენი სივრცეში. კერძოდ, გამოკვეთოს დმანისში არსებული მესამე სივრცეები და გაანალიზოს მათი, როგორც გეოგრაფიული მახასიათებლები, ისე განსაზღვრული ფუნქციები და მათ მიერ შესრულებული რეალური დანიშნულებები. მეორეს მხრივ, შეისწავლის ქალაქში არსებულ ობიექტებსა და მათ მოქმედებებს. ხოლო, კვლევის ეტაპზე, მთავარ ფოკუსს წარმოადგენენ სვანი მიგრანტები, მათ მიერ განხორციელებული პრაქტიკები შესწავლილ და გამოკვეთილ სივრცეებში. ამავე დროს, სივრცეების ზემოქმედება აღნიშნულ ჯგუფზე. წინამდებარე ნაშრომი აქტუალურ საკითხად სვამს მიგრაციული ჯგუფის ინტეგრაციას ისეთ გადასახლების რეგიონში, სადაც განსხვავებული ადგილობრივი ჯგუფები არიან წარმოდგენილნი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სვანი მიგრანტები დმანისში ახორციელებენ თვითდამკვიდრებისთვის სხვადასხვა პრაქტიკებს, რომლებიც მიმართულია დომინაციური სივრცეების მონიშვნისა და შენარჩუნებისკენ. გარდა ამისა, გამოჩნდა, რომ სხვა ჯგუფებთან მიმართებით მათ აქვთ დომინაციის, შუალედურობისა და მარგინალობის სივრცეები. ხოლო, სხვადასხვა მესამე სივრცეები და ამ სივრცეებში არსებული ობიექტები მოქმედებენ, როგორც სვანი მიგრანტების სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ.

საკვანძო სიტყვები: სვანი მიგრანტები, სვანი ეკომიგრანტები, სივრცე, მესამე სივრცე, სივრცეების მოქმედება, ობიექტების მოქმედება, დმანისი, თვითდამკვიდრება, დომინაცია, მარგინალობა.

Abstract

Given thesis is about self-assertion practices of migration group in space, by example of Svani migrants in Dmanisi. On the one hand, done practices in space. And on the other hand, acting of space and their role in implemented practices.

The research supposes to learn the phenomenon of self-assertion practices in space. Particularly, to identify the thirdspaces in Dmanisi and analyze as the geographical characteristics, as determined functions and assignments that they have. Furthermore, thesis studies objects and their actions in city of Dmanisi. In addition, during the research the main focus are Svani migrants and their practices already studied and identified places. The following dissertation makes the issue of integration of migration group activated, which is replaced and migrated, where various groups of society are presented.

According to the results, various self-assertion practices are done by Svani migrants in Dmanisi, which directed to select and maintain the spaces of domination. Additionally, it is observed that they have spaces of domination, intermediacy and marginal. Moreover, various thirdspaces and objects in these spaces are operated consistently and contradictory of Svani migrants.

Key words: Svani migrants, Eco migrants, environmental migrants, space, thirdspace, action of space, action of object, Dmanisi, self-assertion, domination, margin.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთევან გურჩიანს, გაწეული დახმარებისთვის. ასევე, თითოეულ რესპოდენტს, განსაკუთრებით, ბატონ გურგენ გურჩიანსა და ქალბატონ დარეჯან ჩხეტიანს ჩართულობისთვის და კვლევით დაინტერესებისთვის. პროფესორ გრეგ ბაქენ-ქნაფს რომელმაც მუშაობის დაწყების უპირველეს ეტაპზე გამიწია დახმარება და მომცა პროფესიული რეკომენდაციები, მიგრაციის კვლევის კუთხით. ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც ემოციურ მხარდაჭერას მიწევდნენ ნაშრომზე მუშაობის დროს.